წელიწადი 1-ლი | ტელეფონი № 76. | პარასკევი 2 ივნისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. ხამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე, პეტიტით
ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
[illegible]
2 სათ. 5 მ.
2 სათ. [illegible]
რედაქცია და კანტორა [illegible]
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 43 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 43

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

ივნისის 4, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

**ყრილობის წეს-რიგი.**

**1. საპროგრამო საკითხები:**

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

**2. სატაქტიკო საკითხები.**

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ც. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

**3. საორგანიზაციო საკითხები:**

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებაზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

**საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.**

---

დედა ელენე ვახტანგის ასული ბეთანოვისა, მეუღლე მისი პანტელეიმონ პორფირეს ძე პატარიძე შვილებითურთ და მამამთილი პორფირე ივანეს ძე პატარიძე, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, უდროვოდ გარდაცვალებას

**ალექსანდრა ზოსიმეს ასულისა პატარიძისა**

გარდაიცვალა 31 მაისს. დაკრძალვის დღე დანიშნულია 2 ივნისს საღამოის 5 საათზე, ძველი თბილისის შესახვევი, საფირჩხიის ეკლესიასთან, სახლი ანტონ არჯევანიძისა. დღეს 2ივნისს საღამოს 7 საათზე დანიშნულია პანაშვიდი.

---

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული. უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

---

ამით ვაუწყებთ ქუთაისის საზოგადოებას რომ ქვემოთ მოხსენებულ ბანკებში პირველ ივნისიდან—პირველ სექტემბრამდე ოპერაციები იწარმოებს დილის 9 საათ.— შუადღის 1 საათამდე.

აზოვ-დონის კომერციული ბანკი,
ვოლგა-კამის კომერციული ბანკი,
კავკასიის ბანკი და
ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

2-1

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

31 მაისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება კოლოსალური პროგრამა

**—კარიერა—**

**გაქცეული კატორღელისა**

დრამა 5 ნაწ. იდა ტალისა და ალბერტ კოლოს მონაწ.

**ანონსი:** 2 ივნისიდან ნაჩვენები იქნება ახალი მეტად საგულისხმიერო სურათი

**ცოდვების წიაღში**

მხატვრული დრამა 6 ნაწ. მონაწ. უმთავრეს როლში **ესფერი სოკოლოვიუსი** და მსახიობი ალბერტ კოლოსი

**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

---

კვირას 4 ივნისს 1917 წ.,
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სენაკის განყოფილების
სასარგებლოდ ადგილობრივ ქალაქის ბაღში გაიმართება

**დიდი სახალხო სეირნობა**

ლატარია-ალეგრით და სხვა გასართობებით. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა. დასაწყისი დღისით 4 საათზე, შესასვლელი ფასი დიდებისათვის 50 კაპ. მოწაფეთა პატარეებისათვის 30 კაპ.

---

## დღეს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე—როგორი შკოლა გვჭირდება.
ი. იმერელი—ომის კითხვები და ერები.
დონ-დას—ბალღები მაინც შეიბრალეთ.
იოლა—ბრძოლის ველიდან.
თავისუფალი სვანი—ვინ მიიყვანა 1853 წელს 7 თავ. სვანი მაშინ მთავარმართებელ თავ. ვორონცოვთან (ტელეფონი).

**ცნობები:**

საბერძნეთის მეფის გადადგომა. რევოლუციის ამბები. რუსეთი. მსოფლიო ომი. აბასთუმანში ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის დაარსება. ეროვნული კითხვა. უკანასკნელი ამბები. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბები.

---

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

დრამა 6 ნაწ. ნ. ა. ლისენკოსი, ნ. ვ. პანოვის და ნ. ა. რიმსკის მონაწ.

**ჩირქმოცხებული**

**ანონსი:** 2 ივნისიდან ნაჩვენები იქნება მეტად საგულისხმიერო პროგრამა

**დამსხვრეული ბორკილები**

დრამა 5 ნაწ.

მონაწ. **ბაუერი, რანდინისა და პოლონსკი** კომედია. **ბობი შოფერი.**

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

---

## ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ქუთაისის კოოპერატივებში: „მომავალი“ „სარკინიგზო კოოპერატივი“ „უაირათი“, „კოოპერაცია“ და „ედინენიე“ იყიდება სიმიდის ფქვილი ფუთი 3 მანეთათ.

---

სატახტო-ქალაქის ცირკი მმ. ეჯიბოვებისა.

პოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



პარასკევს 2 ივანობისთვეს 1917 წ. გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა, რომელიც შესდგება; საუკეთესო ცირკის რეპერტუარისაგან. უკანასკნელი გასტროლი

**უმაღლეს კაცისა კრისტის**

ახალგაზრდა ქალის ყონგრელის ქენიასი წარმოდგენაში მონაწ. მთელი ცირკის დასი. დღეს 3 საინტერესო ჭიდაობა 1 წყვილი წითელი პირბადოსანი და ქალი აზელგროტი. 2 წყვილი. ძალა ტეხნიკის წინააღმდეგ ქალი რიერიკი და ქალი ანატემა 3 წყვილი ქალი ბელანი და ქალი საბარიაჩკა. დასაწყისი წარმოდგენის საღამოის, 8 ნახევარ საათზე ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

ანონსი. მზადდება გრანდიოზული ბენეფისი გამოჩენილ ბელგიეთა დასისა

**5 კლიკეტი**

---

## როგორი შკოლა გვჭირდება?

დღეს არსებულ შკოლას იმდენი ნაკლი აქვს, რომ მათი ჩამოთვლა, და გარჩევა გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია. რაც უნდა დიდი სურვილი გვქონდეს უნაკლო შკოლა შევქმნათ მიზანს ვერ მივსწვდებით. ცხადია, განახლებულ შკოლაში ბევრგვარ ნაკლს კიდევ ექნება ადგილი, მაგრამ ის კი უნდა მოვაგვაროთ, რომ უმთავრესი ნაკლი ჩვენ შკოლას ჩამოვაშოროთ. დღევანდელი შკოლის უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ იქ აღზრდილ მოქალაქეს არა აქვს საფუძვლიანი **მსოფლმხედველობა**. მსოფლმხედველობა მოქალაქესათვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია. ყოველი ნაბიჯი მოქალაქისა კერძო და საზოგადო ცხოვრებაში მის მსოფლმხედველობიდან უნდა გამომდინარეობდეს. დღევანდელ მოქალაქეს თავისი ვინაობაც ვერ გამოურკვევია; მან თავისი პიროვნების ფასიც არ იცის; თავისი მოვალეობა სინიდისისა და ისტორიის წინაშე მას ვერ შეუგნია; ამიტომაცაა, რომ უმეტესობის ყოფაქცევა რაღაც გაუგებარ მოვლენათ მიგვაჩნია.

დღევანდელ შკოლაში აღზრდილი მოქალაქეთა ცხოვრებას რომ ვუკვირდებით, განცვიფრებაში მოდიხარ; მათი მოქმედება არ ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ინტერესი: პოლიტიკური, ეროვნული და მორალური მათ თვითცნობიერებაში რიგრიგზე იყოს მოლაგებული. დღევანდელ მოქალაქეს ვერ გაუგია, სად თავდება კერძო ინტერესი და სად იწყება საზოგადო. ზოგიერთს უმაღლესი სწავლა მიუღია, ქვეყანას სწავლულათ მოვლინებია და თავის საკუთარ არსებაში ეს ორი ცნება **ადამიანი და მოხელე**, ვერ გაუნსაზღვრავს. ჩვენი ცხოვრების მატიანე სავსეა ისეთი მაგალითებით, რომელნიც ჩვენი მოქალაქის არარაობას ცხადჰყოფენ.

განახლებულმა შკოლამ მოქალაქეს უნდა მისცეს ისეთი მსოფლმხედველობა, რომელიც მას ცხოვრების ასპარეზზე გონიერ ნაბიჯს უკარნახებს. თუ მოქალაქეს საფუძვლიანი მსოფლმხედველობა არა აქვს, მისი მოქმედება უდისციპლინო ფიზიკურ ძალთა თამაშია—მეტი არაფერი. ასეთმა მოქალაქეებმა დასწევს ჩვენი ცხოვრების საზომი და მომავალში მაინც ბედმა გვაშოროს.

ჩვენ შკოლებში აღზრდილ მოქალაქეს არა აქვს შრომის უნარი. მოსწავლე თაობას ჩვენი შკოლა შრომაზე სწორ შეხედულებასაც არ აძლევს. ქართველებში მშრომელი ადამიანი იშვიათია; ზოგს ეზარება შრომა და ზოგს ეთაკილება; ჩვენში უმეტესობა შრომას გაურბის. დაწინაურებულ ქვეყნებში შრომა ჩვეულებადა და მოთხოვნილებად არის გადაქცეული და ზარმაცი ადამიანი გამონაკლისს შეადგენს, ჩვენში კი შკოლაც და საზოგადოებაც ზარმაცის თავშესაფარია. საუბედუროდ, ჩვენში რიგიანი მშრომელი იშვიათი გამონაკლისი შეიქნა.

განახლებულმა შკოლამ უნდა შეაგნებიოს მოსწავლეს, რომ შრომა არის წყარო სიცოცხლისა, ის აკეთილშობილებს ადამიანს, აძლევს მას ყოველ მხრივ სარგებლობას. შკოლამ უნდა აგრძნობიოს მოწაფეს, რომ შრომა არის ღირსება, რაც საუცხოოთ შეამკობს ადამიანის პიროვნებას ახალმა შკოლამ უნდა აგრძნობიოს მოსწავლეს შრომის აუცილებლობა და ნაყოფიერება. ახალმა შკოლამ სიცოცხლის უფლება მარტო მშრომელს უნდა მიაკუთვნოს.

დღევანდელ შკოლაში აღზრდილ მოქალაქეს სრულებით არ ესმის **ეკონომია**. ახლანდელი შკოლა მოსწავლე თაობას არავითარ მოზოგვას და თავდარიგს არ არჩევს.

ქართველი მოსწავლე შკოლაშიც და ოჯახშიც დაუზოგავათ ხმარობს ყოველგვარ ნივთიერებას. საჭიროება მოხმარებას არ შეეფერება. ქართველ მოსწავლეს დაბალი შკოლიდან უმაღლესამდი დაუზოგაობა ეტყობა; ეს თვისიბა შეეხება არა მარტო ნივთიერებას, არამედ ფიზიკურ ძალასაც. უბრალო ბრძოლასა და კინკლაობაში ქართველი მოქალაქე უხვათ ხარჯავს ფიზიკურ ძალასაც, დროსაც და ენერგიასაც გერმანეთში შკოლამ მოწაფეებში ის რწმენა გაამეფა, რომ არაფერი არ უნდა დაიკარგოსო, ესე იგი ყველაფერი სარგებლობას უნდა გვაძლევდესო; ასე რომ ყოველი ნივთიერება, რანაირათაც უნდა შეიცვალოს მან სახე, მაინც სასარგებლოდ უნდა იქნეს მოხმარებული. ამ დებულებას ჩვენში ცხოვრების პრინციპად კი არა, ახალ ამბადაც არავინ მიიღებს. მხოლოდ მსოფლიო ომმა და მისმა მკაცრმა შედეგმა გვახსენებია ეს გარემოება, თვარა ისე, კიდეც რომ გვეთქვა, ყურადღებას არავინ მიაქცევდა.

გერმანეთში ყველას ესმის, რომ კერძო საკუთრება იმავე დროს საზოგადოც არის და აქ კი, პირიქით, უმეტესობა იმას ფიქრობს, რომ საზოგადო საკუთრება კერძოც არის და თავისკენ ეწიკება.

დაწინაურებულ ქვეყანაში საზოგადოების წინაშე მოვალეობა კერძო საკუთრებაზე ზრუნვასა და თავდარიგს ავალებს ყოველ მოქალაქეს, აქ კი კერძო საკუთრების მოვლაც არ მიაჩნიათ საჭიროდ და საზოგადო სიმდიდრეზე ზრუნვა ხომ ზედმეტია.

ახალმა სკოლამ უნდა შეაგნებიოს ჩვენ მოზარდ თაობას, რომ გონიერი ეკონომია ცხოვრების პროგრამაა და მის ცხოვრებაში გატარებას აუცილებლობა გვიკარნახებს; ყველაფრის მოზოგვა და ყველაფერზე თავდარიგი შეგნებული მოქალაქის წმინდა მოვალეობაა. თუ დღემდი ეს არ ვიცოდით, აწი მაინც შევიგნოთ, თუ არ გვინდა მოსპობის უფსკრულისაკენ დავეშვათ.

თანამედროვე სკოლის ერთი უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ ის მოწაფის **ხასიათს** ვერ ანვითარებს. დღეს მტკიცე ხასიათის მოქალაქე იშვიათი შემთხვევაა. ერთი უმთავრესი თვისება, ურომლისოდაც მოქალაქე მოქალაქედ არ ჩაითვლება, არის **ნების ყოფა**. თუ ადამიანს ნება აქვს განვითარებული, თუ მას ხასიათი აქვს მტკიცე—მაშინ ის ცხოვრებისთვის გამოდგება. მტკიცე ხასიათის ადამიანი ცხოვრებაში არ დაიკარგება; ენერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიით აღჭურვილი ადამიანი იბრძოლებს ცხოვრებაში, ათასგვარ გაჭირვებას გარდალახავს და საცხოვრებელ ადგილს იქ ნახავს, სადაც არ ელის. მტკიცე ხასიათის პატრონი ბრძოლაში ჰპოებს სიამოვნებას. თუ მართალია თქმულება, რომ ადამიანი თავისი ბედის მჭედელი თვითონ არისო, ეს სწორედ ხასიათ მტკიცე ადამიანზე ითქმის.

სამწუხაროდ, ჩვენ მოქალაქეთა შორის ძლიერ გავრცელებულია ხასიათის სისუსტე. ჩვენში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ვნებათა ღელვით დამონებულს. უშინაარსო გასართობით დაუძლურებულს, წუთიერი სიამოვნებით გატაცებულს, სულმოკლეობით გონება დახშულს, ოჯახური გაჭირვებით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს და სხვა.

თუ დაუკვირდებით ჩვენ მოძმეთა სულის კვეთებას, თუ მოისმენთ მათი გულის ამოძახილს, თუ დახედავთ სასწავლებლების, საავათმყოფოების, სასამართლოსა და სხვა დაწესებულებათა სტატისტიკას, დარწმუნდებით, რომ ჩვენში უმეტესობას ან ძარღვები უთამაშობს, ან გრძნობა აქვს ამღვრეული, ან რწმენა შერყეული, ან გული აქვს უკმაყოფილებით აღვსილი. რა თქმა უნდა, თუ ადამიანს სუსტი ხასიათი აქვს, მას ცხოვრება სატანჯველათ მოეჩვენება. ცხოვრებას ყოველთვის ჰქონდა უარყოფითი ხასიათი, მაგრამ ასე ხაზ გასმით ეს არაოდეს არ ყოფილა აღნიშნული, როგორც დღეს. ამის მიზეზი ხასიათის სისუსტე არის. ახლანდელი შკოლის შვილი უმეტესათ სუსტია, ლაჩარი და ფრთხილი. ვერც მებრძოლს, ვერც გმირს, ახლანდელი შკოლა ვერ შობს. ეს არის კიდეც სამწუხარო და სავალალო.

ახალმა შკოლამ უნდა მოგვცეს ხასიათით მტკიცე ადამიანი. დღევანდელ მოქალაქეში ნების ყოფა ძლიერ განვითარებული უნდა იყოს, უამისოთ წინსვლა შეუძლებელია. დღევანდელი პესსიმიზმი ახალმა შკოლამ უნდა დაანგრიოს და ამ ნანგრევზე ოპტიმიზმი გაამეფოს.

განახლებულმა შკოლამ უნდა მისცეს მომავ მოქალაქეს **საფუძვლიანი მსოფლმხედველობა, შრომის უნარი და მტკიცე ხასიათი.** სასურველია ამაზე ვიზრუნოთ და გამოვნახოთ ყოველი საშუალება, რომ შკოლამ ეს მიზანი შეასრულოს.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

# ომის კითხვა და ერები

„ომის საჩქაროდ დამთავრება უანექსიო, უკონტრიბუციო ზავი და ხალხთა თავისუფალ თვითგამარკვევის პრინციპის საყოველთაოდ განმტკიცება.“ აი ეს ძვირფასი სიტყვები. რომელიც 34 თვის მსოფლიო სისხლის ღვრის შემდგომ ძლიერად გაისმა.

ომის დასაწყისში დიდი სახელმწიფონი დამონებულ პატარა ერთა განთავისუფლებას გვპირდებოდენ, მაგრამ ეს „დაპირება“ დღეს არავის სჯერა და იმპერიალისტების ორპირობაც აშკარა შეიქმნა. ამხანად დამონებულ ერებს გამოესარჩლა დემოკრატია. დემოკრატიამ აღიარა ყველა ხალხის თავისუფლება. ომის დამთავრება რევოლუციურ რუსეთის დრ. მთავრობამ მოითხოვა ყოველ ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე ხალხთა თავისუფალ თვით გამორკვევის პრინციპის მიხედვით. მსოფლიო ომის ამა თუ იმ პირობით და სახით ლიკვიდაცია არ ძალუძს, მარტო რევოლუციურ რუსეთს ამისთვის მას უპირველეს ყოვლისა სჭირია მის მოკავშირეთა თანხმობა. რუს. დრ. მთავრობამ 37 მარტის დეკლარაციით მიმართა მოკავშირეთ და სთხოვა დასტური. 27 მაისს მოკავშირე ინგლისმა და საფრანგეთმა განახლებულ რუსეთის მმართველობას პასუხი გასცეს. ამ პასუხიდან ნათლად სჩანს, რომ დემოკრატიულ პრინციპებს ამ ჟამად მხოლოდ რევოლუციური რუსეთი იცავს.

რას ამბობენ მოკავშირენი? მადლობას უხდიან რუსეთის მთავრობას, რომ იგი ომის კავშირიდან არ გამოეთიშა სეპარატიულ ზავს არ მოითხოვს და მოკავშირეებთან ერთად იბრძოლებს დასახული მიზნების განხორციელებისათვის და საბოლოოდ გამარჯვებისათვის. აშკარაა, მოკავშირეთათვის ომის მიზანი ამ დროულად იმავე ყოფილა, რაც 34 თვის წინად იყო. ავსტრიის ერების განთავისუფლებას,, პრუსიის პოლონეთის გამოყოფას და რუსეთის პოლონეთის დამოუკიდებლობას. იმავე დროს არაფერს ამბობენ იმ ერთა, იმ უზარმაზარ კოლონიათა შესახებ, მათ რომ (ინგლის საფრანგეთს) მონობაში ჰყავთ. სხვას უკიჟინებენ არა მპყრობელ ერთა თავისუფლებას, მხოლოდ თვითონ კი არ იხდიან სავალდებულოდ ამ პრინციპს· ომი გამარჯვებამდეო, იმეორებენ რიბო ლლოიდ ჯორჯი და ვანდერველდე. და მერე იმას კი არ კითხულობენ, რომ ეს დებულება არსებითად ეწინააღმდეგება უანექსიო და უკონტრიბუციო საპატიო ზავას პრინციპებს. საფრანგეთის რესპუბლიკის საზავო პირობა 1873 წ. ეროვნულ კრების მიერ შემუშავებული ლოზუნგია. 83 წ. ლოზუნგი მოითხოვს ელზას ლორენის ომისგან გამოწვეულ ზარალის ანაზღაურებას. ყველა ეს თითქოს კონტრიბუცია და ანექსიაა რის!...

ავსტრიისა და გერმანეთის სოციალ-დემოკრატები (შეიდემანის მომხრენი) კიდევ, მოპირდაპირეს უთითებენ, თუ როგორ უნდა მოიქცენ უკანასკნელნი, ხოლო თავის საკუთარ პროგრამაზე კრინტსაც არა სძრავენ.

პატარა ერთა განთავისუფლება მხოლოდ მაშინ გახდება რეალურად. შესაძლო, თუ ამ დებულ ებას ყველა სახელმწიფო ნამდვილ მოვალეობათ დაისახავს და თავის არა მპყრობელ დამონებულ ერს თვითონვე მიანიჭებს თავისუფალი ცხოვრების უფლებას და როდესაც თვით ჩაგრული ერები შესძლებენ მჩაგვრელის გამკლავებას.

სამწუხაროდ, ამას ჩვენ ვერ ვხედავთ იმ სახელმწიფოშიც კი, რომელმაც პირველად საქვეყნოდ აღიარა უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი ხალხთა თავისუფალ თვითგამორკვევის პრინციპით.

განთავისუფლებულ რუსეთის ხალხის პირველი სოციალისტი მინისტრი პატარა ერთ ზარბაზნებით ემუქრება, თუ ეს უკანასკნელნი გაკადნიერდებიან და თავის ეროვნულ ზრახვათა განხორციელებას დააპირებენ.

კიევში ყოფნის დროს სოციალისტ კერენსკის კავკასიის ერთა შესახებ, როგორც ამას გაზ. „რუსკ. სლოვო“ გადმოგვცემს, უთქვამს. „ზოგიერთი კავკასიის ერი, რომელიც პირადი ხელშეკრულებით მეფეს შეუერთდა, არ სცნობს რუს. დრ. მთავრობას და თავის მეზობელ ერებს ქლეტსო. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ აქვს, როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ. ჩვენ არ ვიცით, ეს ყალბი შეხედულება კავკასიის რომელიმე ერზე „რუსკოე სლოვოს“ მორიგი ჭორი და ღვარძლი არის, თუ მართლა წამოსცდა ახალგაზრდა მინისტრს პირიდან ეს დაუფიქრებელი სიტყვები;

მაგრამ ის კი ვიცით, რომ კავკასიაში ერთი ერიც არ მოიპოება, სხვა ერები რომ ქლიტოს, ან ამოჟლიტას რომ უპირებდეს.

რაც შეეხება მეფესთან პირად ხელშეკრულებას, ალბად საქართველო არის ნაგულისხმევი, რადგანაც საქართველომ შეჰკრა რუსეთის მეფესთან (იმ დროებაში მეფე იყო რუსეთის სახელმწიფოს კანონმდებლობითიც და აღმასრულებელი ძალაც) ის უკვდავი 1873 წლის ტრაქტატი, რომელსაც ძალა და მნიშვნელობა დღესაც არ დაჰკარგვია და რომლის აღდგენასაც მოუთმენელად მოელის სრულიად საქართველო.

ზედმეტი არ იქნებოდა, ასეთ გარემოებას ჩაუფიქრდებოდენ ქართული პოლიტიკური პარტიები და ჩირქმოუცხებელსა და, ერთგულ ქართველ ხალხს თავიდან აეშორონ ასეთი არასაკადრისი ბრალდება, ვინაიდგან „რუს. სლოვოში“ მოყვანილ სიტყვებს მთელი კაცობრიობა ჰკითხულობს, რომელსაც ქართველი ხალხი რაინდად მიაჩნია ცხადია, რომ ყველასათვის საკუთარი ეგოისტური მიზნები აქვს და იმ პრინციპს ემსახურებიან, რომელიც ამბობს: ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო. ამიტომ არც კერენსკის (?) სიტყვებმა გაგვაკვირვა.

მოკავშირენიც სწორედ იმიტომ მოითხოვენ ომის გაგრძელებას, რომ ეს მათი მისწრაფებათათვის მიუცილებელია. რუსეთის რევოლუციისთვის კი ომის გაჭიანურება დამღუპველი იქნება. რა გზას უნდა დაადგეს რუსეთი? აი, უდიდესი კითხვა, რომელზეც გადაჯაჭვულია განახლებულ რუსეთის ბედი, და რომელიც მოითხოვს დიდ შრომას და დაფიქრებულ მოქმედებას.

**ი. იმერელი.**

# რევოლუციის ამბები

(პ. დ. ს.)

## დეპეშები

დროებითი მთავრობის დადგენილება.

**პეტროგრადი.** მაისს 29. დროებითმა მთავრობამ დაადგინა დაავალოს სამიწადმოქმედო ვაჭრობა-მრეწველობისა გზათა, საფინანსო და შრომის მინისტრებს შეიმუშავონ პროექტი უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს შესაქმნელად, რომელმაც უნდა მოაგვაროს სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრება ხალხის შრომისა და მეურნეობის გეგმის შესამუშავებლად.

სახელმწიფო კონტროლიორის თანაშემწის დანიშვნა.

**პეტროგრადი.** მაისს 29. სახელმწიფო კონტროლიორის თანაშემწედ დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრი სკიპიტროვი.

მუშათა ჯარისკაცთა და გლეხების დეპუტატების განცხადება.

**ვორონეჟი.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებმა დასტამბეს განცხადებანი და გამოაკრეს ქალაქში, რომელშიაც ნათქვამია: ჩვენი საბჭოს წინააღმდეგ აგიტაციები იზრდება ბნელი ძალების მეოხებით, რომელნიც ნიადაგს იმზადებენ შეუგნებელ მასაში. ამიტომ ყველანი, ვინც თანაუგრძნობს რევოლუციას მოვალენი არიან დაირაზმონ ჩვენს გარშემო. შემდეგ ნათქვამია: ჯარისკაცებო თქვენ მოიპოვეთ თავისუფლება და თქვენვე როგორც რეალურმა ძალამ, უნდა გადაარჩინოთ იგი თქვენს ხიშტებზე ბრწყინავს რევოლუციის პირველი დღეები. ამიტომ თქვენი ვალია დაიცვათ მოპოებული თავისუფლება ქვემოდ ნათქვამია: რადგანაც ქუჩური მიტინგები ხელს შეუწყობს რეაქციას, ამიტომ საბჭომ დაადგინა: კვირის განმავლობაში ქალაქში არ გაიმართოს არავითარი მიტინგი, თუ ამას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო არ ითავებს.

დროებითი მთავრობის მიერ კრონშტატის კომისარის დამტკიცება,

**პეტროგრადი.** მაისს 30. დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა მიერ არჩეული პარჩევსკი. კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარემ ლამანოვმა წარუდგინა ცნობები სამოსწავლო გემების კრონშტატიდან გამოსვლის შესახებ.

კერენსკის დეპეშა.

**რიგა.** მაისს 30. მიიღეს დეპეში კერენსკისაგან განათავისუფლონ, გაზეთ ,,თხრილების სიმართლის'' რედაქტორი პორუჩიკი ხაუსტოვი, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა მინისტრს.

# რუსეთი.

პ. დ. ს.

## დეპეშები.

სამხედრო სასწავლებლებში.

**პეტროგრადი.** მაისს 30. სამხედრო მინისტრის თაითბირზე გადასწყდა სამხედრო სასწავლებლებში და პრაპორჩიკების შკოლაში იუნკრებათ მიიღებიან ისეთი პირები, რონელნიც ნამსახურნი არიან სამხედრო ნაწილებში არა ნაკლებ 2 თვისა და რომელთაც აქვთ საჭირო სწავლა.

თავისუფლების სესხი.

**ტამბოვი.** მაისს 20. ტამბოვის გუბერნიაში თავისუფლების სესხზე ხელის მოწერა ავიდა 6 მილიონ მანეთამდე.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრის ასტაპოვის დასაფლავება

**ტამბოვი.** მაისს 30. მოხდა საზეიმო-დასაფლავება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრის ასტაპოვისა, რომელიც იმსხვერპლა უეცრად გავარდნილმა ტყვიამ.

სამხედრო ყრილობა.

**ნოვოჩერკასკი.** მაისს 30. გაიხსნა სამხედრო ყრილობა, ატამანის ასარჩევად. ყრილობას დაესწრო 700 კაცი. არჩევნები მოხდა პირდაპირის დაფარულის კენჭის ყრით. ყრილობას. მიესალმა შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა წარმომადგენელი განაცხადა; შავი ზღვის მეზღვაურნი თხოულობენ, რომ ნუ შეურევენ მას ბალტიის ფლოტის მეზღვაურებთან. შემდეგ განაცხდეს, რომ ყველა ყაზახთა ნაწილები მზად არიან დაემორჩილონ ამ ყრილობის დადგენილებს.

პოლკების გაუქმება

**პეტროგრადი.** მაისს 22. გენერალ შჩერბაჩევის ატყობინებს დროებითი მთავრობას რუმინეთი ფრონტის ზოგიერთი დივიზის გაუქმებს, გააუქმეს სამი, დივიზია: სამმა პოლკმა ბრძანება არ შეასრულა, ამის გამო მოხდა უწესოება; დაატუსაღეს პოლკის კამანდირი. და შვიდი ოფიცერი მათ ჩამოგლიჯეს პაგონები, ორს მათგანს ჯარისკაცებმა სცემეს.

თანამდებობიდან დათხოვნა.

**პეტროგრადი** მაისს 29. თანახმად მათივე თხოვნისა თანამდებობიდან გადააყენეს პრიამურის მხრის ღენერალ ღუბერნატორი განდატიტი, შინაურ საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრი იაბლონოვსკი ხარკოვის ღუბერნატორი კოლოპოვსკი, ლიფლინდიის ღუბერნატორი ბილოვსკი, ვოლივდის ღუბერნატორი რაპოვი.

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

## დეპეშები.

დასავლეთის ასპარეზი

**პარიზი.** 29 მაისი. ოფიციალი. მტრის 2 თავდასხმას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. ასპარეზის ზოგიერთ ნაწილებში ხდებოდა დროგამოშვებითი საარტილერიო ბრძოლა. კორნილიუს მთის რაიონში ორივე მხრიდან ძლიერი საარტილერიო მოქმედებაა.

**პარიზი.** 30 მაისი. ოფიციალი. მტრის თავდასხმები უშედეგო იყო. ზოგიერთ ადგილებში ხდებოდა საარტილერიო ბრძოლა.

**პავრი.** 29 მაისი. ოფიციალი. ღამით ხდებოდა გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლა. დღისით საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა რამსკაპელესა და მეტესსას შუამდებარე ადგილებში.

**ლონდონი.** 29 მაისი. ოფიციალი. ღამის განმავლობაში ხდებოდა საარტილერიო ბრძოლა. შეჯგუფებული მტერი ღამით გავფანტეთ. ჩვენ მივეჭერით მტერს ბრძოლის მოწინავე ხაზებით. მტერი დავაზარალეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები, მოვახდინეთ გერმანელების პოზიციებზე თავდასხმები. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. მდ. იპრის მახლობლად არტილერია ენერგიულად მოქმედებდა. მასინის სამხრეთით ჩვენ წინ წავიწიეთ.

**ლონდონი.** 30 მაისი. ოფიციალი. ლაპატერის ფერმის მახლობლად ჩვენ დავიკავეთ გერმანელების თხრილები ერთი მილის სიგრძეზე. დღისის წინ წავიწიეთ, წამოვიყვანეთ 7 ტყვე ჯარის-კაცი. წამოვიღეთ აგრეთვე სამხედრო იარაღები. ბრძოლა უმწვერვალესად განვითარდა ადიჯესა და ბრენტომის შუა მდებარე ადგილებში. მტრის იერიში მოვიგერიეთ. აზიაგოს მთიან ადგილებში ჩვენ გავანადგურეთ მტრის სიმაგრეები. დავიკავეთ მონტეოს მთა. წამოვიყვანეთ 512 ტყვე ჯარის-კაცი. კარსოსთან მტრის იერიში მოვიგერიეთ.

**ლონდონი.** 29 მაისი. ოფიციალი. მდ. იპრის სამხრეთ მიდამოებში დღის განმავლობაში მტერი ენერგიულად მოქმედებდა. მდ. სულის სამხრეთით ბრიტანეთის ჯარმა რამდენიმე თავდასხმა მოახდინა მტერზე. ლეკრუაზილის მიდამოებში არტილერიამ აქტიური მოქმედება გამოიჩინა.

# ვინ მიიყვანა 1853 წელს შვიდი

**თავისუფალი სვანი ბორჯომს მაშინდელ მთავარმართებელ თავ. ვორონცოვთან.**

(დასასრული იხ. „ჩვენ. ქვეყ.“ № 42)

რატიანმა დაარწმუნა ნაცნობები რომ, იგინი კარგს საჩუქარს მიიღებენ თ. წერეთლისაგან, თუ-კი მასთან გამოცხადდებიან. საჩუქრის დაპირებამ ვადიბირა მულახელი ნაცნობები რატიანისა, ამათ სთხოვეს ერთს მესტიელს და ერთს იფარელს, თქვენც წამოგვყევითო და კიდევაც გაემგზავრნენ რაჭას.

უშგულმა რატიანის საქციელი მალე შეიტყო, დაეცა იმის სახლს, სანამ იგი მულახში იყო, ერთი უღელი ხარი წაართვა იმის სახლეულობას, დაჰკლა და შესჭამა. რატიანმა და იმის სტუმრებმა ეს ამბავი ჯერ არ იცოდნენ. იგინი ლამე შემოვიდნენ უშგულში. უშგულს გზაზე ყარაული ჰყავდა დაყენებული და რატიანი თავის სტუმრებითურთ დაიჭირეს სოფელში შემოსვლამდე; დაიჭირეს ეგრეთვე თ. წერეთელთან მიმავალი მულახელებიც. მეორე დღეს ყრილობა მოხდა. მულახელები საზოგადოებას შეხვეწნენ,—გაგვიშვით სახლშიო; სპილინდო გავაშელიშვილს და აზნაურს გრიგოლ რაჭველს ყრილობამ ხელი დაადო და გამოუცხადა, რომ სანამ თქვენს სახსარს არ გადიხდით, მანამ დატყვევებული იქმნებითო. ამ დროს მღვდელმა სპილინდომ შემდეგი ხერხი მოიგონა. სთხოვა საზოგადოებას, რომ შემიშვით აქაურს ღვთის-მშობლის ეკლესიაში სალოცავად, როგორც მღვდელიაო. ყრილობამ ნება მისცა. მღვდელი სპილიდონ ჩამოილოცა და როცა გაათავა ლოცვა, მოავლო ხელი ღვთის-მშობლის ხატს, გამოიტანა გარეთ და ხატით ხელში შეახვეწა თავისი თავი და აზნაური გრიგოლი ყრილობას; სპილინდო სთხოვდა ყრილობას: უსახსროდ გაგვანთავისუფლეთ მე და ჩემი ამხანაგი ტყვეობიდგანაო. მღვდელმა ხატზედ დაიფიცა, რომ სახლში წავალ და ამიერიდგან მაგ საქმისათვის უშგულში არასოდეს აღარ დავბრუნდებიო. ყრილობამ პატივი სცა ხატს და გაანთავისუფლა სპილინდო თავის ამხანაგით ტყვეობისაგან.

თუმცა ამას შემდეგ მაინც უნდა წასულიყო რაჭას მღვდელი გავაშელიშვილი, მაგრამ, როგორც მითხრეს, გრიგოლ წერეთელი თურმე კარგს საჩუქარს დაჰპირდა, თუ რამდენსამე სვანს მოუყვანდა, და ამისათვის არამც და არამც ხელ ცალიერი წასვლა არ უნდოდა. მღვდელი სპილინდო, გრიგოლ რაჭველი და გეგი რატიანი რაჭისკენ გაუდგნენ გზას ყრილობის დაშლამდე. რამდენიმე ვერსი რომ გაიარეს და გასცილდნენ უშგულს, იქ დაისადილეს და ღამე უშგულიდამ დაბრუნებულს მულახლებს გაეკიდნენ უკან. მივიდნენ ისევ მულახს, ნახეს იგივე კაცები, რომელთაც უწინ თანხმობა განაცხადეს რაჭაში წასვლისა, შეავულიანეს კვლავად და ყველანი რაჭას მივიდნენ თ. გრიგოლ წერეთელთან. უშგულს, რასაკვირველია, შორს შემოუარეს.

თ. გრ. წერეთელმა დიდის პატივით მიიღო სვანები, მასპინძლობა კარგი გაუწია და საჩუქრები და საბოძვარი ბლომად გასცა. სამი დღე იყვნენ ამ ყოფაში სვანები. მეოთხე დღეს ურჩია: ქუთაისს წამომყევით გუბერნატორთან და საჩუქარს მიიღებთ იმისაგანო. ორიოდე სვანმა უარი სთქვა—ქუთაისს არ წავალთო, მაგრამ თ. წერეთელმა ეს უარის-მთქმელნი შეილობილად აიყვანა და ამნაირად, სვანების აზრით, დაინათესავა დიდის გვარის კაცმა. ქუთაისში გუბერნატორმა სვანები ფულით დაასაჩუქრა, რამდენიმე დღე თავისთან იყოლია და შემდეგ თ. ვორონცოვსთან წასვლა ურჩია; ვორონცოვი იმ დროს ბორჯომში იმყოფებოდა. სვანებმა აქ ეჭვი აიღეს და წერეთელს უთხრეს, რომ თქვენ არ გეკადრებათ ჩვენი მოტყუებაო, ჯერ რაჭას გვიბარებდი, იქიდამ აქ, ქუთაისს ჩამოგვიყვანე, აქ კიდევ ბორჯომში წასვლას გვეუბნები და იქიდამ შეიძლება იმისთანა ადგილს გაგვგზავნო, საიდგანაც ვერასოდეს სვანეთში ვეღარცკი დავბრუნდეთო. ასე ლაპარაკობდნენ სვანები და ბორჯომს წასვლას მთავარ მმართებელ თ. ვორონცოვსთან ძალიან უარობდნენ, მაგრამ უკან დახევაც აქ ადვილი არ იყო: გინდა თუ არა, წადით ვორონცოვთანო. წაიყვანეს სვანები ბორჯომში. მთავარ-მმართებელმა ვორონცოვმა და იმისმა მეუღლემ აღტაცებით მიიღეს სვანები. რამდენიმე დღე ისე იყვნენ ვორონცოვსთან, რომ მთავარ მართებელს არაფერი უკითხავს მათთვის. ბოლოს მიიხმო და ყველაფერის გამოკითხვა დაუწყო დაწვრილებით: როგორა ხართ და როგორა ცხოვრობთ, გყოლიათ თუ არა ბატონიო, და სხვა ამისთანები. სვანებმა შესაფერი პასუხი მისცეს მთავარ-მმართებელს. მიუგეს, რომ ჩვენ ბატონი არა გვყოლია და არცა გვყავსო; ჩვენში ბატონი არის „მახვში“, საზოგადოების ამორჩეულიო; ჩვენი ხელში ჩაგდება ბევრმა მოინდომა, მაგრამ წინააღმდეგნი ვიყავით და ვერავინ ვერაფერი დაგვაკლოვო. და სხვადასხვა ამ გვარები.....

**თავისუფალი სვანი.**

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 30 მაისი. ოფიციალი. ჩვენი ბატარეები მოიერიშეთ ძლიერად უშენდა. სოფ. ვეროჩის მახლობლად ძლიერმა სროლამ ცეცხლი გამოიწვია. ამ სოფელში დაბანაკებული მოწინააღმდეგენი ვაიძულეთ გაქცეულიყვენ. მტერს უკან დავედევნეთ. მტერს არტილერიას უშენდით. მტრის შეჯგუფებულ ბარგიან ურმებს ძლიერად უშენდით. ფრონტის დანარჩენს ადგილებში საგულისხმო არაფერი მომხდარა.

### რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 30 მაისი. ოფიციალი. რუმინეთის ასპარეზზე. არსებითი ცვლილება არ მომხდარა. გარდა ჩვეულებრივის სროლისა.

### კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 30 მაისი. ოფიციალი. კარიშირინის მახლობლად ქურთებმა იერიშები მოიტანეს ჩვენს წინააღმდეგ. მათი თავდასხმა მოვიგერიეთ.

### მფრინავთა მოქმედება.

ლონდონი. 29 მაისი. ოფიციალი. საღამოთი შემჩნეულ იქნა გერმანელების ჰიდროპლანები. ჩვენებმა მტრის ჰიდროპლანებს სასტიკად დაუშინა. ერთი მათგანი განადგურდა. დანარჩენები გადარჩნენ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 2 მფრინავი. ჩვენი ჰაეროპლანები მტერს ძლიერად უშენდენ ასტიკოს მიმართულებით.

ლონდონი. 29 მაისი. ოფიციალი. გუშინ ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის ჰაეროპლანი. ბრიტანეთის 3 ჰაეროპლანი აღარ დაბრუნებულა.

პეტროგრადი. 30 მაისი. ოფიციალი. იაკობშტადტის აღმოსავლეთით ჩვენი განმანადგურებელი მანქანა მტრის არტილერიამ ჩამოაგდო. დაიღუპა მფრინავი კაპიტანი კურილოვი. აპარატი დაიმსხვრა. შუბლის მიდამოებში გალიჩის ჩრდილოაღმოსავლეთით მტრის მფრინავმა ცეცხლი გაუჩინა ჩვენს ჰაეროსტატს. ჰაეროსტატი დაიწვა. მფრინავი ოფიცერი გადარჩა. იგი დასახიჩრება.

### გემების დაღუპვა.

სევასტოპოლი. 30 მაისი. ოფიციალ. ჩვენმა გემებმა ჩასძირეს სურსათით დატვირთული იალქნიანი გემები.

---

## საბერძნეთის მეფე კონსტანტინე ტახტიდან გადადგა.

**პარიზი.** მაისის 30. სასწრაფო. ათინიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის მეფე კონსტანტინე ტახტიდან გადადგაო თვისი შვილის ალექსანდრეს სასარგებლოდო. მეფეს აზრათ აქვს ინგლისის გემით შვეიცარიაში გაემგზავროს.

## ეროვნულ-დემოკრატიული. ორგანიზაცია აბასთუმანში.

(დეპეში „ჩვენი ქვეყანა“-ს)

აბასთუმანში დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტს.

თავმჯდომარე **ასათიანი.**

---

# ახალი ამბავი

—:—

**საბერძნეთის მეფის გადადგომა.** დეპეშების ცნობით საბერძნეთის მეფე კონსტანტინე ტახტიდან გადამდგარა.

✦ **მილიციის საქმე.** ამას წინად ჩვენი გაზეთის ახალ ამბებში შეცდომით მოხსენებული იყო, რომ ახალ მილიციის უფროსად მუშ. და ჯარ. კაცთა დეპ. საბჭომ კაპიტანი გოლტმანოვსკი აირჩიაო. მილიციის უფროსად კვლავაც პორუჩიკი ბ-ნი ი. ქლენტი დარჩება, ხოლო კაპ. გოლტმანოვსკი დაინიშნა მუშ. და ჯარ. კაცთა დეპ. მხრით მილიციის კომისარად.

✦ **ქალაქთა თვით მართველობა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა მაისის 30-ს, რომ ყველა დაბა ქალაქებში, სადაც თვით მართველობა ჯერ არ არსებობს შემოღებულ იქმნას მარტივი თვითმართველობა, ხოლო სადაც ამ ჟამად მარტივი თვითმართველობა, არის, იქ შემოღებულ იქმნას ნორმალური თვით მართველობა

✦ **ბათომ ტრაპიზონის რკინის გზის** კეთება შეჩერებულია. გზას აღარ გაიყვანენ, ხოლო ნამუშევარს ლიკვიდაციას უკეთებენ. სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ინჟენერი ლამჩი.

✦ **სამხედრო შეღავათი.** დროებითმა მთავრობამ დაადგინა: ჯარში გაწვევის ვადა გაუგრძელდესთ იმ პირთ, რომელთაც წელს გაათავეს რომელიმე საშუალო სასწავლებელი და 1 ივნისამდე განაცხადებენ, რომ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას აპირებენ. ამ კატეგორიაში ისინიც შედიან, რომელთაც სასულიერო სემინაარიის ოთხი კლასი დაამთავრეს.

✦ **ა. ჩხენკელი.** სთხოვს ქუთაისის ალმ. კომიტეტს შეატყობინოს ამიერ.კავ. ალმ. კომიტ. გუბერნ. და მაზრის კომისარების გვარი და მათი მისამართი.

✦ **აპარლების ჩივილი.** ქუთ. ალმ. კომიტეტს თხოვნით მიმართა ორმა აპარელმა, რომელნიც ქუთაისში მსახურებენ, რომ მათ ვილაცები შეუჩნდენ და ეუბნებიან საჩქაროდ ქუთაისი დასტოვეთო. აპარლები ითხოვენ, რომ ალმ. კომიტეტმა მფარველობა გაუწიოს უხერხულ მდგომარეობაში მყოფთ. ალმ. კომიტეტმა დაადგინა სასტიკი ყურადღება მიაქციოს მავნე პირთა ასეთ საქციელს და მათ საჯაროდ უწოდოს ხულიგნები.

✦ მევენახეთ და მეღვინეთა ყრილობა. 4 ივნისს ქ. თბილისში ამიერ კავკასიის კომისარიატის წევრის პაპაჯანოვის თავმჯდომარეობით მეღვინეთა და მევენახეთა ყრილობა მოხდება. ყრილობის მიზანია მეღვინეობისა და ღვინის გაყიდვის კითხვის გადაწყვეტა. ქუთაისიდან მეღვინეთა ყრილობას დაესწრებიან ბ. ბ. ქუთათელაძე, ბერეკაშვილი და პ. ყიფიანი.

✦ პეტრეს ქალაქის ვაჭარ მრეწველთა ყრილობა სთხოვს ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს გაგზავნოს თავის წარმომადგენელი ხსენებულ ყრილობაზე დასასწრებლად.

✦ სასწავლებლებში ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის კურსი დაამთავრა წელს შემდეგმა პირებმა:

დადიანი გიორგი, გაბუნია ალექსანდრე, გოგოლიშვილი გაბრიელი, გოცირიძე შალვა, ჩხეიძე გიორგი, საყვარელიძე დიმიტრი, საყვარელიძე სვიმონი, ხუხუნიშვილი ვლადიმერი, ქარცივაძე სვიმონი, ნადირაშვილი ირაკლი, კუბლაშვილი პავლე;

ზემომოხსენებული პირები ყველა ჯანსაღი არიან და სპეციალური ცოდნა საკმაოდ აქვთ. ისინი საჭიროა ახლავ ჩაებან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო საქმეებში და არ გაიბნენ უცხოეთში ლუკმა პურის საძებნელად.

✦ სანოვაგის კონფისკაცია. სასურსათო კომიტეტმა კონფისკაცია უყო 11 ყუთ ყველს და რამდენიმე ას ცალ კვერცხს, რომელიც იყიდება სასურსათო კომიტეტში.

✦ თხოვნა. სასურსათო მმართველობის წევრი ბ-ნი ს. კილაძე სთხოვს ალმ. კომიტეტს, რათა მიეცეს სასურსათო კომიტეტს 3-4 ოთახი. ალმ. კომიტ. დააკმაყოფილა.

✦ ქუჩების სახელის შეცვლა. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ქუთ. ალმასრულებელ კომიტეტს სთხოვა დაერქვას ალექსანდრეს ქუჩას „ერთობის“ ქუჩა და ოლდენბურგის ქუჩას „რესპუბლიკის“ ქუჩა.

✦ სამოსწავლო საქმე. ქუთ. გუბ. სამოსწავლო საქმეთა კომისარები ბ. ბ. ი. ოცხელი, ს. რობაქიძე და ს. ხუნდაძე აცნობებენ ალ. კომიტეტს, რომ საჭიროდ დაინახეს სახალხო სკოლების დირექტორის ა. ბრუსილოვსკის სამსახურიდან გადაყენება.

ბრუსილოვსკი, გადაყენებულია 1 აპრილიდან და ამ თვიდან ჯამაგირს აღარ იღებს.

✦ **ამიერ კავკასიის კომისარიატი** ქუთ. ალმ. კომიტეტს აცნობებს, რომ იგი თანახმაა ნაფიცი ვექილი ბ-ნი ნ. ქიქოძე ალმ. კომიტეტს წარმომადგენლად იყოს სამოსამართლო საქმეებში.

✦ **ალმ. კომიტეტის არჩევნები** დამთავრდა სენაკსა, ლეჩხუმის, რაჭისა და ზუგდიდის მაზრებში.

✦ კომიტეტი. ქართველთ სამხედრო კავშირისა მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარ (ჯარისკაცებს, ოფიცრებს, სამხედრო, ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერონ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა) ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 დე.

✦ ქუთ. სატ. ციხის მდგომარეობა. ალმ. კომიტეტს აცნობებენ, რომ ქუთაისის სატუსაღო ციხეში დიდი უწესეობა სუფევს. ტუსაღები არავის არ ემორჩილებიან. ათრობენ დარაჯებს და ამტვრევენ ციხის ფანჯრებს.

✦ მშრომელ ქალთა თხოვნა. ქუთ. ალმ. კომიტეტს მუშა ქალთა კავშირი სთხოვს მიეცეს მათ ჟანდარმთა სამმართველოს ავეჯეულობიდან მაგიდები და სკამები

✦ მეეტლეთა თხოვნა. ქუთ. მეეტლენი სთხოვენ ალმ. კომიტეტს, რომ მათ მხრივ 2 წარმომადგენელი დაესწროს მეეტლეთათვის ნიხრის დამდებ კომისიას, რათა საერთო შეთანხმება მოხდეს.

— ქურდობა. ქუთაისში გაძლიერდა ქურდობა. ორპირის ქუჩაზე 27 მაისს გაქურდეს შემდეგი ოჯახები ჩიბურდანიძისა, მ. თირაძისა და არტემ ნოზაძისა.

— მუშათა საბჭო გადავიდა ბინაზე ჩხიკვაძის სახლში წინანდელ ბინის პირდაპირ.

— სასურსათო საქმე. ამ დღეებში ქუთაისის სასურსათო კომიტეტი ქ. ეკატერინოდარიდან მოელის 23 ვაგონ პურის ფქვილს ქუთ. სასურსათო კომიტეტმა დაადგინა სუფსელ ვაჭრებს ჩამოართვას სიმინდი და გაანაწილოს იგი მცხოვრებთა საჭიროებისამებრ.

— ზუგდიდის კომისია. სთხოვს ქუთაისის ალმ. კომიტეტს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ზუგდიდის ალმ. კომიტეტს.

— მე 110 ჯარიმკაცმა. რომლების მილიციელებად იყვნენ. ჯამაგირის მოცემა სთხოვეს ქუთ. ალმ. კომიტეტს. ალმ. კომიტეტმა ეს შეუძლებლად სცნო

— ქალთა საზ. თხოვნა ქუთ. საზოგადოება თხოვნით მიმართა ალმ. კომიტეტს რათა წმ. ნინოს სასწავლებელი განთავისუფლებულ იქმნას რეკვიზიციისაგან ალმ კომიტეტმა თხოვნა არ შეიწყნარა.

✦ კავკასიის კომიტეტს მისალმება დეპეში ბრძოლის ველიდან. ქართულ და სომხურ მსროლელ პოლკისა და ბატალიონების რაზმები დიდ რუსეთს განთავისუფლების ჟამს გულწრფელ სალამს უძღვნიან ძვირფას კავკასიას და მის კომისარიატის წევრებს ბ. ა. ჩხენკელს, კ. აბაშიძეს, ხარლამოვს, პაპაჯანოვს და ჯაფაროვს. ქართველთა და სომეხთა რაზმები ულმეს ერთგულებასა და მის მორჩილებას უცხადებენ ახალ მთავრობას და კავკასიის კომისარიატს და დარწმუნებულია, რომ კავკასიის კომიტეტი, რომელიც მოწადინებულია კავკასიის ხალხთა საკეთილდღეოდ, შექმნის სასურველ პირობებს კავკასიის ყველა ხალხის თავისუფალ ცხოვრებისთვის. ძირს ეროვნულიშუღლი, რომელიც ურთიერთ შორის და უნდობლობას ჰქმნის.

გაუმარჯოს ახალ მთავრობას და კავკასიის კომიტეტს. სალამი თავისუფალ რუსეთს.

ქართულ მსროლელთა პოლკის კომანდირი პოლკოვნიკი **კვინიხიძე** სომეხთა მე-4 მსროლელთა ბატალიონის კამანდირი პოდპოლკ. **ოსეპიანცი.** მე-6 სომეხთა მსროლელ პოლკის კომანდირიპოდპოლკ. **მელიქ მურადოვი.**

# უკანასკნელი ამბები.

### სტარო-ობრიადცები და დემოკრატიული რესპუბლიკა.

სტარო-ობრიადცების ყრილობაზე მსჯელობა იყო სახელმწიფოებრივ ფორმაზე. ხმის უმრავლესობით სასურველად სცნეს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება. რამოდენიმე იცავდა კონსტიტუციონურ მონარქიის პრინციპს, ამბობდენ, რომ რესპუბლიკა ხალხს სარწმუნოებას დაავიწყებიებსო და ეს ხელს შეუწყობს ანარქიის გავრცელებასო.

### კადეტების დარბევა.

საარჩევნო აგიტაციის დროს პეტროგრადში ჯარის კაცებმა დაარბიეს კადეტების საარჩევნო პუნქტი. ამას გარდა ბრბო ლამობდა ლინჩის სამართლით გასწორებოდა კადეტებს.

### გაფიცვების შეჩერება.

რკინის გზებზე საერთო გაფიცვას აღარ უნდა ველოდეთ. დიდი ორგანიზაციები გაფიცვის წინააღმდეგ [illegible] ყრილობა.

მოკლე ხანში მოხდება ებრაელთა ყრილობა. ყრილობაზე დაესწრებიან ებრაელი ჯარისკაცები, ოფიცრები, ექიმები. მიზანი ყრილობისა იქნება მუდმივი ცენტრალი ორგანიზაციის დაარსება, რომელიც ებრაელთა ინტერესებს დაიცავს

---

# ეროვნული კითხვა.

### პოლონეთის ჯარი.

პოლონეთის მსროლელთა დივიზიამ იკისრა პოლენეთის ჯარის დაარსების ინიციატივა.

ამის გამო კიევში ამას წინად მოხდა ზემოხსენებულ დივიზიის დელეგატთა ყრილობა, რომელზედაც შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

1) ჩვენი მიზანია შევაერთოთ სამად დაჩეხილი სხეული პოლონეთისა და მისი დამოუკიდებლობა აღვადგინოთ.

2) ყოველ ერს ეძლევა უფლება თვითგამორკვევისა და თავისი ბედის გადაჭრისა

3) პოლონეთის ეროვნულმა სეიმმა უნდა გამოარკვიოს პოლონეთის სახელმწიფოს ფორმა და მისი მართვა-გამგეობა. სეიმის არჩევნები უნდა მოხდეს სწორი, ფარული და თანასწორი ხმის მიცემით.

4) მომავალ პოლონეთის სახელმწიფოში ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა და სჯულის, უფლებით თანასწორნი იქნებიან.

5) ნდობა გამოუცხადოს შეთანხმების სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ მარტო რუსეთის პოლონეთის განთავისუფლება კი არა, არამედ სამივე ნაწილის გაერთიანება ერთ პოლიტიკურ სახელმწიფოდ.

6) ამის მისაღწევად საჭიროა ეხლავე დაარსდეს პოლონეთის ეროვნული ჯარი.

7) პოლონეთის ჯარმა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა იბრძოლოს პოლონეთის საკეთილდღეოდ და მის დამოუკიდებლობის აღსადგენად.

8) პოლონეთის არმიის ჯარის-კაცები და ოფიცრები სრულ უფლებიანი მოქალაქეები არიან.

9) ყოველ ოფიცერს თუ ჯარისკაცის სამღვთო მოვალეობაა დაემორჩილოს პოლონეთის სეიმის მიერ მიღებულს სამხედრო წესებს.

10) ვიცით რა, რომ ჯარი უხალხოდ ვერ იარსებებს, ჩვენ ეხლავე მოუწოდებთ ყოველ მამულიშვილს ჩაეწეროს პოლონეთის ეროვნულ ჯარში და ხელი შეუწყოს თვით პოლონეთის აღდგენას.

### ფინეთი.

პრესა მიესალმება დროებითი მთავრობის კანონპროექტს ფინეთის სენატის უფლებათა გაფართოების შესახებ და გულისხმობს რომ ეს პირველი ნაბიჯია ფინეთის თავისუფლების პრინციპის განსახორციელებლად. ფინეთის პრესას სწამს, რომ ეს პროექტი საბოლოოდ გამოარკვევს რუს-ფინელთა დამოკიდებულებას.

### პოლონელები.

პეტრეს ქალაქში დაიწყო პოლონელ სამხედრო პირთა თათბირი. თათბირს ოფიციალად მიესალმა დიდ ბრიტანეთის ელჩი, დესპანი იტალეთისა და საფრანგეთის რწმუნებული. ყრილობას ჯერჯერობით 400 დელეგატი დაესწრო.

პოლონეთის სამეფის საქმეთა სალიკვიდაციო კომისიამ დაადგინა აღდგენილი იქმნას რომის კათოლიკეთა პოლონური კათედრები კამენეც პოდოლსკში და მინსკში.

### ლიტველები

გაიხსნა ლიტველთა ეროვნული ყრილობა, რომელზეც რუსეთში მცხოვრებმა ყველა კუთხის ლიტველებმა გამოგზავნეს დელეგატები.

### პოლონეთი და ავსტრიის რეიხსრატი.

ავსტრიის რეიხსრატმა დაშინსკის დაავალა მოხსენება წაიკითხოს პოლონეთის კითხვაზე. ავსტრიის რეიხსრატი აღნიშნავს, რომ საჭიროა შემუშავდეს საერთო სახელმძღვანელო პრინციპი სხვადასხვა ეროვნებათა შესათანხმებლად.

### პოლონეთის ახალი პარტია

პოლონეთში დაარსდა ახალი პარტია, რომელსაც სახელად ეწოდება „ეროვნულ ცენტრის პარტია“.

პარტიის პრინციპი შემდეგია. 1) კონსტიტუციური მონარქია დემოკრატიულ საფუძვლებით. 2) ძლიერი მთავრობა და

საქართველოს
ეროვნულ-დემოკრატიული
პარტიის ქუთაისის კომიტეტი
სთხოვს თანამოაზრეებს დააჩქარონ წევრად ჩაწერა, რადგან
100 წევრზე ერთი დელეგატი
უნდა აირჩიოს კომიტეტმა თბილისში
4 ივნის დანიშნულ კონფერენციაზე გასაგზავნად.
კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს, ვინც სარეგისტრაციო ფურცლები წაიღო, უკანვე დააბრუნოს პარასკევს საღამოს 7 საათამდე.
ჩაწერა მიიღება: 1) „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში თბილისის ქუჩა, მიქელაძის სახლი. 2) პარტიის სელექციო დარბაზში — ვორონცოვის ქუჩა, ოცხელის სახლი.

ძლიერი ჯარი 3) გაძლიერებული შეუწყვეტელი მუშაობა პოლონეთის სახელმწიფოს შესაქმნელად (მიუხედავად ომის შედეგისა) 4) ანარქიულ მოძრაობასთან ბრძოლა. ამ პარტიის დამფუძნებელი კრება ამ მოკლე დროში მოხდება.

ტრიესტის ავტონომია

„ჟურნალ დე იტალია" სწერს: იმპ. კარლოსი ამ დღეებში ტრიესტს ავტონომიურ უფლებებს მიანიჭებსო.

ჩ ე ხ ე ბ ი.

ავსტრიაში დაარსდა ძლიერი პარტია ჩეხელებისა, რომელიც რეიხსრატს სთხოვს მიანიჭოს ჩეხეთს და ხორვატიას ავტონომიური შინათარსებობა.

რეიხსრატის უმრავლესობის აზრი მომავალ ავსტრიაზე

„რუსკ. ვოლია"ს გადმოცემით რეიხსრატის უმრავლესობა მოითხოვს, რომ ავსტრია გარდაიქმნას და დაიყოს ეროვნულ ერთეულებად.

ირლანდიის კონვენტი.

ამ მოკლე ხანში შეიკრიბება ირლანდიის ეროვნული კონვენტი რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ათას ასი კაცი, მათ შორის 15 ბრიტანეთის მთავრობისგან არის დანიშნული. კონვენცზე მოვლენ აგრეთვე სინფეინერები. კონვენტის მოწვევის დღეს ბრიტანეთის მთავრობა ამნისტიას გამოაცხადებს დუბლინის ამბოხების გამო დატუსაღებულთა მიმართ.

პოლონელი პოლკები

საფრანგეთის მთავრობამ შეადგინა პოლონური პოლკები, რომელნიც იბრძვიან პოლონურ დროშის ქვეშ და ემორჩილებიან საფრანგეთის სამთავარსარდლოს.

პოლონეთი ლიტვეთის შეერთებას თხოულობს.

პოლონეთის ეროვნულ-ლიბერალური პარტია მოითხოვს ცალკე სახელმწიფოს სახით აღდგენილ პოლონეთს შეუერთდეს ლიტვეთი და შეიქმნას მათ შორის. ძლიერი კავშირი.

# მოწერილი ამბები

**ხარაგაული:**

ბალღები მაინც შეიბრალეთ! რევოლუციის პირველი დღიდან საზილარი, პროვოკატორული ხმების გავრცელებას შეუდგა სხვადასხვა ცოდნისა, მდგომარეობისა და პროფესიის ხალხი პარტიების სახელით. გამოდიან სოფლათ, ქალაქათ. ქუჩაში, ჰერქვეშ და ყველგან, სადა კი მიწვდებიან, გაიძახიან, ქართველები რუსეთისგან გამოყოფვას ესწრაფვიანო, ავტონომია-ბატონყმობაო, ვინც სოციალ-დემოკრატი არ არის ხალხის მტერიაო, თუ ჩვენ არ დაგვიჯერებთ ჯარს შემოგისევთო, ამოგწყვეტთო, ამოგჟლეტთ, გადაგწვავთ, გადაგბუგავთ, ქვას ქვაზე არ დავტოვებთ და სხვა მრავალი ასეთი. მე არა მწამს თითქო ყველა ის, ვინც სოც. დემოკრატის სახელს დაირქმევსო, მართლაც სოც.-დემოკრატი იყოს და ჰქონდეს პარტიის სახელით ლაპარაკისა და გამოსვლის უფლება. ხარაგოულის რაიონის კომისარს მიმართა ერთმა ჯარის-კაცმა: „მოლითში დასაჭერი არის მასწავლებელი და კიდევ რამოდენიმე პიროვნება, რომელნიც ხელს უშლიან რევოლუციის გაღრმავებასო და გვირჩიეთ როგორ მოვიქცეთო". გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ მასწავლებელი და კიდევ ის პიროვნებანი, რომელთაც დაჭირვას უპირებდენ არა ს.-დ.-ები ყოფილან და მათი ათვალისწუნების მიზეზიც ეს ყოფილა. ყოველივე ეს ეცნობა ადგილობრივ ს.-დ.-ების ორგანიზაციას. მრავალი პირი დაძრწის სოფლად მშრომელის, ჩაგრულისა და პატიოსანი ადამიანის ქურქში გამოხვეული და წყალსა ღვრის. თუ აქამდის მუშის სახელით გამოდიოდენ „მოღვაწე ვაჟბატონები დღეს „ინტელიგენტის" სახით გვევლინებიან აქა იქ. თუ კი დღემდე „საქმეს" შეუგნებელ მასასთან იჭერდენ, დღეს ბალღებში ჩარეულან და იქ ჯირითობენ. თუ დღემდე გლეხებში შეაქვდათ არევ დარევა, დღეს შვიდი-რვა წლის ბალღები ერთი მეორეს მიუსიეს. არ დამიჯერებთ! პარტიისგან გამოგზავნილი ვარო, ბრძანებდა ხარაგოულში ჩამოსული ერთი „სტუდენტი" და შვიდი-რვა წლის ბავშებში შეუდგა პარტიული ორგანიზაციის დაარსებას, მოუწვევია ხარაგოულის მოწაფეობა, რომ ვერ ასცილებიან და პიველ შვიდ-რვა წელს კლასებში, რომ იმყოფვებიან და ეწევა პარტიულ პროპაგანდას „დავაარსოთ მოწაფეთა კავშირი, გავეცნოთ პარტიებსო" და „თუ თქვენში ვინმე არ არის ს.-დ. თავი დაგვანებეთ „პარტიული კრება" გვაქვსო. აღელვებული პატარა ბალღები გამოცვივდენ დარბაზიდან სხრიალით და ყველას უამბობდენ ამ გმირის საქციელს. კომისარისა და კიდევ რამოდენიმე პირის შეკითხვაზე ქუჩური უზრდელობით უპასუხა „განათლებულმა სტუდენტმა" და ორიოდე დამქაშით გაიპარა. გაიპარა რომ ერთი სოროდან მეორეში შემძვრალიყო. არ ვიცი როგორ, რა მოსაზრებით მისცეს ნება სკოლის ოთახში შეძრომისა და ან რად დაუთმეს მას ბავშის გონების გასარყვნელათ ასპარეზი? ეს ვაჟბატონი იმის მაგიერ, რომ ბავშის სული გააკეთილშობილოს, იმის მაგიერ, რომ ღუხჭირი ცხოვრების დაღი ბავშის არსებას აალდინოს, იმის მაგიერ, რომ ბავშის გონება მხატვრული საბავშო ლიტერატურის შესწავლით განავითაროს, ბავშებში პარტიულ პროპოგანდას ეწევა, უსუსურ ბავშს ამახინჯებს, სტანჯავს. ღალავს მის ნორჩ ტვინს კონცენტრაციისა და პროლეტარიზაციის კანონებით, გაუგებარ სიტყვითა და ფრაზათა რახა-რუხით. განა დასამტკიცებელია. რომ ბავშმა რომ ცხოვრებას ალღო აუღოს, გაეცნოს მას, შეიგნოს კლასთა დამოკიდებულება: ბრძოლა თუ თანამშრომლობა, წოდებრივი განსხვავება თუ ერთობა, ცალკე კლასთა თუ წოდებათა ჩაგვრა, მჩაგვრელობა, მონობა თუ თავისუფლება -- ჯერ უნდა გაეცნოს მშობლიურს მწერლობასა და ლიტერატურას, გამოჩენილ ბავშის სულის მესაიდუმლეთ, უცხოთ თუ თავისიანთ, მიჰყვეს კვალ და კვალ ცხოვრებას და თანდა თანობით განვითარებით დაადგეს უკვე გარკვეულ გზას. ეს ვაჟბატონები კი ბავშს კლასობრივ კითხვაზე მწერლებს აცნობენ იმ დროს, როდესაც თვითაც ვერ გაუგიათ რას ამბობენ და უსუსური ბავში ხომ სულ ვერ გაიგებს.

„უწიკვლო," „თავდადებულნო" „მოღვაწენო," „განათლებულო" „ინტელიგენტო" სტუდენტო," სადაც გნებავდეთ, ვისთანაც გნებავდეთ, გინდ ქალაქში, გინდ სოფლათ წაბრძანდით „იმოღვაწეთ" უფროსებში, მომწიფებულ საზოგადოებაში, ხალხში, სთქვით ის რაცა გწამთ და მოზრდილი, შეგნებული საზოგადოება ყოველთვის დაგაფასებსთ. მხოლოდ ბავშებს ნუ სტანჯავთ, ნუ უჩლუნგავთ გონებას, ულაყებთ ტვინს რაღაცგაუგებრობით, ნუ კლავთ ბავშის პატარა წმინდა არსებაში ადამიანს, უდროოდ ნუ უსპობთ ბაშვს კეკლუც ბავშურ ცხოვრბას. იმათ მაინც ნუ სჯიჯჯვნით თქვენის მოუხეშავი ხელებით ნუ სთელავთ ფეხ ქვეშ ჩვენი ქვეყნის მომავალს, ჩვენს იმედსა და სამომავლო მოწინავე ძალას. იმათ ამათ მაინც დაანებეთ თავი, ბალღები მანც შეიბრალეთ!

**დონ-ლას.**

## ბრძოლის ველიდან.

(თურქები არ ისვენებენ.)

ტრაპიზონ და ოგნოტის მიმართულებით, როგორც ვიცით, თურქების შემოტევამ უნაყოფოთ ჩაიარა. მათ არ მოისვენეს და 5 მაისს ბითლისის მხარეზედაც, ღამე, ყაჩაღური წესით, შეეცადენ გაესინჯათ ჩვენი ძალები. მარჯვენა ფლანგი სადაც მათ მთავარი ძალით მოაშურეს, მხოლოდ—მზვერავთა რაზმით იყო დაცული ამ მხრიდან, სტრატეგიულ-გეოგრაფიულ თვალ საზრისით, — მოულოდნელი იყო მტრის შემოსევა. რაზმსაც -- გორებს შორის, კარვებში, როგორც ყოველთვის, ტანისამოს გაუხთელათ, ტყვიებში ეძინა? თვისი—დაცვა ამხანაგებისათვის მიენდო, რომლებიც, ფარულების სახით, რამოდენიმე ასეულ ნაბიჯის მოშორებით, გარშემო ბანაკისა იყვნენ ჩამსხდარნი და ფხიზლად თვალყურს ადევნებდენ მოწინაამდეგეთა მხარეს. ღალამებიდანვე ოთხი მაისის ბნელი ღამე აშკარა მაჩვენებელი იყო: რომ რაღაც უბედურობა უნდა მომხდარიყო. ჯერ კიდევ ყველას ეძინა, რომ თურქებმა ახლოში მაშხალები გაისროლეს. გაგზავნილმა, ჩვენმა მზვერავებმა ვერა გამოარკვიეს რა. უმრავლესობამ, ხსენებულ მაშხალების სინათლე, ვარსკვლავების ჩამოვარდნას მიაწერა და ამით გული დაიმშვიდეს. მიწყნარდა ყოველივე. ღამის მყუდროებას მხოლოდ ბაყაყთა კონცერტი არღვევდა ახლობელ ტბაში. ხუთი მაისის ძალა ჩამოსული იყო; პირველ საათზედ, რომ ჩვენმა მარჯვენა ფარულმა უეცრივ სროლა ასტეხა. ფარულის თოფის ხმას, თითქმის ყოველი მხრივ თურქთა ხშირი სროლის ხმა შეუერთდა. ფიცხლავ მთელი რაზმი თოფს ქვეშ დადგა. შეიქმნა არეულ ჩარეულობა. ნამძინარევი ხალხი პირველ ხანათ გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა. არ იცოდენ სიბნელეში საით გაეცათ პასუხი მომდგარ უბედურებისათვის. მალე, როგორც იქმნა, მოვახერხეთ წინასწარ გამზადებულ თხრილების დაკავება. გაჩაღდა ბრძოლა. თურქებმა „ალლა," „ალლას" ძახილით დასცეს ყიჟინა და იერიშით წინ წამოვიდენ. ბრძოლა ხელჩართულობამდის გადავიდა – ბოლოს, იღბლათ, რაზმის მცირე ნაწილით მოვახერხე მარჯვნივ მაღალი ბორცვი და ჯვარედინი. დამეჭირა ერთხმოვანი ცეცხლით იძულებული ვყავით თურქები უკან დაეხიათ. ორი საათის შემდეგ სროლა შეჩერდა; ხმაზედ ვამჩნევდით თურქები თან და თან გვშორდებოდენ. დავედევნეთ კარგა მანძილზედ, მაგრამ გათენებისას მათ და საბედნიეროთ, ნისლმა მოიცვა მთელი ჭალა და საშვალება მიეცათ მიმალულიყვნენ.

ყველას, ნამოქმედარის შედეგი გვაინტერესებდა, თუ რამდენათ დავზიანდით. მალე გამოირკვა: მათ, ტყვეებს გარდა, საბრალო დაჭრილები და მკვდრები ბლომათ მიეტოვებინათ, ხოლო ჩვენი ფარულების სიფხიზლის გამო, რომლებმაც ადრიანათ გაგვაგებინეს, იოლად გადავრჩენილვართ. როგორც ტყვეების დაკითხვიდან გამოირკვა მათი ძალა თურმე რვაას კაცამდის აღწევდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მაშველ ჯარს, რომელიც იქვე ზურგს უმაგრებდათ. ჯარებს ცნობილი მუსა ბეგის შვილი ხელმძღვანელობდა. „ჩვენი მიზანი იყო მოულოდნელათ თავს დაგცემოდით, ამოგვეჟლიტეთ და წინ წავწეულიყავითო მაგრამ ადრიანად გაიგეთ და ყოველივე აზრები დაგვებნაო". გადმოგვცეს ტყვეებმა. დილას მაშველი ჯარიც მოგვივიდა.

**იოლა.**

## რუსეთი.

**ცარიცინის რესპუბლიკა.**

ქ. ცარიცინის ჯარმა უკვე თავის რესპუბლიკა გამოაცხადა.

**ყ ა ჩ ა ღ ო ბ ა.**

ვიატკის გუბერნიაში 400 შეიარაღებული ყაჩაღი და დეზერტირი თავს დაესხა სოფლებს და არბევს. ადგილობრივი მთავრობა მათთან ბრძოლაში უძლურია.

**დიდ პირთა გასამართლება.**

გაზეთების გამოცემით ყველა გენერლებს და მინისტრებს, რომლებიც ამ ჟამად დატუსაღებულნი არიან, ამ მოკლე ხანში გაასამართლებს პეტრეს ქალაქის ოლქის სასამართლო ნაფიც მსაჯულთა თანადასწრებით.

**რუსეთი და მოკავშირენი.**

ნიუორკის ოფიციალი წრეები მოითხოვენ გამოქვეყნებულ იქმნას ხელ შეკრულება ამერიკის მიერ დადებული მოკავშირე სახელმწიფოებთან. აგრეთვე გამორკვეულ უნდა იქმნას ის თუ როგორის შეხედულებისა და აზრისა არის ნიუიორკის მთავრობა რუსეთის საზავო ლოზუნგზე. როგორც გაზ. „რუსკაია ვოლია" იუწყება ამერიკის საზავო ლოზუნგი ამ დღეებში პრეზ. ვილსონის ეუწყება ნოტით რუსეთის დრ. მთავრობას.

**კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ი.**

ფინანსთა მინისტრის ადგილზე სხვათა შორის ასახელებენ მოსკოვის უმაღლეს კომერციულ კურსების დირექტორს ნოვოგოროდცევს და პროფ. რუზსკის.

**ძარცვა გლეჯა.**

30 მაისს პეტრეს ქალაქში გასტეხეს 7 დიდი სავაჭრო, გაძარცვეს ერთი ბანკი და ერთი დიდი „რესტორანი." გატაცებული ფული უდრის ყრთ მილიონ მანეთს.

**კერენსკის განცხადება.**

კერენსკიმ სთქვა: „ომის ჩქარა დასამთავრებლად აუცილებლად, საჭიროა ჩვენი ჯარის წესრიგი დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას. ომის დამთავრება შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო მდგომარეობასთან შეთანხმებით. რუსეთი თავის მიზნებს და მოქმედებას საერთაშორისო მიზნებს შეუფარდებს და ამავ დროს ერთგულად დაიცავს თავის არსებით ინტერესებსაო.

**„ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი."**

ვოლოგდაში შეიკრიბენ მეუმრავლესე სოც. დემ. და ხალხს მოუწოდებდენ საჩქაროთ ომის შეწყვეტის მოთხოვნისაკენ და თანაგრძობის გამოცხადებისაკენ ქ. კრონშტადტისთვის.

**დამმობილებულ ჯარის მოწამლა.**

დვინსკში მოიყვანეს 100 რუსის ჯარის კაცი, რომელიც დამმობილების დროს გერმანელებმა მოსწამლეს.

სამღვდელოება და რესპუბლიკა.

კურსკის გუბერნიის სამღვდელოებამ თავის კრებაზე დაადგინა მოითხოვოს რუსეთისათვის დემოკრატიული რესპუბლიკა და მიწის კითხვაში მიიღოს ს. რ. ფორმულა მიწის განსაზოგადოებრივობისა.

ანარქია და კონტრ რევოლუცია.

სოფ. გიშევსკი დეზერტირებმა დაიპყრეს და თავისი მმართველობა დააწესეს.

ტამბოვში მემამულენი საჩქაროდ ჰყიდიან მამულებს, საქონლის ჯოგს, ტყეებს და აუქმებენ პარკებს. ყველა ეს სოციალიზაციის შიშით ხდება.

თხოვნა წოდების გაუქმების შესახებ.

კურსკის გუბ. სახალხო საბჭომ დრ. მთავრობას თხოვნა მისცა რათა გააუქმდეს თავად-აზნაურული წოდება. და ჩამოერთვას მას ყველა უძრავი ქონება კაპიტალით.

სტოკჰოლმის კონფერენციის დეპეშა ქ. წერეთელს და ასკელროდს

„ბედნიერი ვართ მოგესალმოთ თქვენ, საერთაშორისო დემოკრატიის დარაჯნო. სტოკჰოლმის კონფერენცია ერთი დიდი ნაბიჯია საერთაშორისო დემოკრატიის შესაკავშირებლად და საერთო დემოკრატიულ პოლიტიკის შესაქმნელად. ღრმადა გვწამს, რომ ჩვენი მეცადინობა ნაყოფს გამოიღებს. სალამს გიძღვნიან სკანდინავიის და ბოსნია ჰერცოგოვინის სოციალ დემოკრატები.

უცხოეთის ვალუტის კურსი.

სახ. საკრედიტო კანცელარიამ უცხოეთის ვალიუტებზე ოფიციალად დააწესა შემდეგი კურსი. გირვანქა სტერლინგი—144; ფრანკი—53. დოლარი - 302; კარონი (შვეციური) 92; კრონი ნორვეგიული -92 ნახ., დანეთისა- 88, ლირა—(იტალიური) 44, ფრანკი (შვეიცარული) 61, გულდენი—125, იენი 155 ნახ., ლეი—(რუმინეთისა) 85.

## უ ც ხ ო ე თ ი.

სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო.

ლონდონიდან სტოკჰოლმს გაემგზავრა დელეგაცია. რომელიც საერთაშორისო დელეგაციას აუწყებს, თუ რა მიზნები აქვს დიდ ბრიტანეთს ამ ომში. დელეგაცია შემდეგ პეტრეს ქალაქშიც მივა.

ინგლისის ბურჟუაზია სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ

ინგლისის ბურჟუაზიის აზრით საფრანგეთისა და რუსეთის დრ. მთავრობა უსათუოდ შეთანხმდებიან ომის კითხვებში ამის შემდეგ სტოკჰოლმის კონფერენციას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გვეცოდინება საერთო აზრი ომის კითხვაში.

ამერიკის და სტოკჰოლმის კონფერენცია

ნიუიორკში შესდგა დიდი თათბირი, სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ, სადაც საზავო პირობებზე შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს. „ომის დემოკრატიულ საფუძვლებზე დასამთავრებლად საჭიროა. პრეზ. ვილსონმა განიმეოროს ის საზავო პირობები, რომელითაც მან მიმართა მებრძოლ სახელმწიფოთ. ამერიკის საზავო პირობები ასეთი იყო: ძალადობითი ანექსიის და ვისიმე გამალატაკებელ კონტრიბუციის უარყოფა. რუს. დრ. მთავრობა კი სრულიად უარყოფს ანექსიას და კონტრიბუციას. საინტერესოა, რომელი საზავო პირობები გაიმარჯვებს სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

ზავი და ინგლისის ბურჟუაზია.

ინგლისური ოფიციოზი „ვესტმინსტერ გაზეტე" სწერს: „რა თქმა უნდა სტოკჰოლმის კონფერენციას უფლება არ ექნება საბოლოოდ გადასწყვიტოს ომის კითხვა, მაგრამ იგი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ჩვენ საშუალება მოგვეცემა შევიტყოთ საერთაშორისო დემოკრატიის აზრი ომის და ზავის შესახებ, რა გაგვიადვილებს საერთო დებულების შემუშავებასაო.

ზავი და ინგლისის მუშები.

ინგლისის მუშები უერთდებიან რუსეთის მუშათა დეპ. საბჭოს დეკლარაციას და აღიარებენ უანექსიო-უკონტრიბუციო ზავს. რამზეი მაკდონალდის აზრით ისინი სალამს უძღვნიან რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს და მოითხოვენ ომის ჩქარა დამთავრებას.

ოსმალეთი და ზავი.

შვეიცარიის ქ. ჟენევაში ჩასული ოსმალთა მისია, რომელსაც ზავის წინადადების მომზადება აქვს მინდობილი. მისია ინახულებს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და აუწყებს, თუ როგორი ზავის მიღება შეუძლია ოსმალეთის პორტას.

ზავი და ახლობელი აღმოსავლეთი.

საფრანგეთის დეპ. პალატაში განიხილეს აღმოსავლეთის კითხვა. ერვემ სთქვა, რომ ამ ჟამად დემოკრატიული რუსეთი ხელს იღებს სრუტეებზე და სტამბოლზე, რუსეთი აგრეთვე აღარ ინდომებს სომხეთის შემოერთებას, რადგან იგი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პრინციპს აღიარებს. ერვე იმედოვნებს, რომ ამის შემდეგ ოსმალეთს ადვილად დაეთანხმებთ სეპარატიულ ზავზეო.

500 ახალი წყალ ქვეშა გემი.

ნიუორკში ამ ხანად აიარაღებენ ძლიერ ფლოტს, (500 გემი), რომლის დანიშნულებაც არის გერმანელთა წყალ ქვეშების განადგურება. ეს გემები ვეებერთელა სიგრძის არიან და მეტად სწრაფად შეუძლიანთ წყალში მოძრაობა. 500 გემი პირველ ხანებში ატლანტის სანაპიროებს დაიფარავს გერმანელთა ტერორისაგან.

ამერიკის დახმარება.

ამერიკის რესპუბლიკამ საფრანგეთს ომის ხარჯების დასაფარავად 100 მილონი დოლარი ასესხა.

ამერიკა.

ამერიკის სოც. დემოკრატების მიტინგს 1,500 კაცი დაესწრო. სოც. დემოკრატები მოითხოვენ ზავის საქმის დაჩქარებას და სალამს უძღვნიან რუსეთს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს.

ვატიკანის მიმხრობას ცდილობენ.

ლუგანოში იმყოფებიან გერმანეთის კათოლიკეთა წევრი ერცბერგერი და თოდიზოულოვი, რომლებიც რომის პაპას ურჩევენ, აიძულოს მებრძოლი მხარეები და იარაღი დააყრევინოს.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**


## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სად. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში მესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის კარებთან ჰეიშვილის სახლში

**მ. კ ა შ ი ა**

არჩენს თვალების სნეულებათ (თეთრ გადაკრულს უაპერაციოთ)


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — სალამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | -- საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | -- დილის | 11 ს. — | „ |
| „ | - ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | - საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | - დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა